

# პროდუქცია

ჰაიდელბერგცემენტი (საქართველო)  
რეალიზაციისა და მარკეტინგის დეპარტამენტი  
ლორთქიფანიძის 4  
0105 თბილისი, საქართველო  
ტელ: (+995 32) 247 47 47, ფაქსი: (+995 32) 247 07 07  
ელ.ფოსტა: sales@heidelbergcement.ge

www.heidelbergcement.ge  
www.heidelbergcement.com

უკეთესი მშენებლობისთვის  
ჰაიდელბერგცემენტის პროდუქცია  
საქართველოში

**HEIDELBERGCEMENT**

**ჰაიდელბერგცემენტი**

პროდუქცია საქართველოში

უკეთესი მშენებლობისთვის

HEIDELBERGCEMENT





# ჰაიდელბერგცემენტი

ჰაიდელბერგცემენტი არის სამშენებლო მასალების წარმოების ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი გლობალურ ბაზარზე და შედის ცემენტისა და ბეტონის მწარმოებელთა სამეულში მსოფლიოს მასშტაბით. კომპანიის კუთვნილ 2500 საწარმოში, რომლებიც მსოფლიოს 40 ქვეყანაშია განთავსებული, 52 500 თანამშრომელია დასაქმებული.

ჰაიდელბერგცემენტი საქართველოში საქმიანობას 2006 წლიდან ეწევა. კომპანია მართავს 4 ცემენტის ქარხანას კასპში, რუსთავში და ფოთში, რომელთა საერთო წლიური წარმადობა 2 მილიონ ტონას აღწევს. ჰაიდელბერგცემენტის (საქართველო) პროდუქტის რეალიზაცია ხდება, როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე აზერბაიჯანშიც.

CEM II 32.5 ტიპის ცემენტი გამოიყენება C8/10 – C25/30 კლასის ბეტონების, რკინაბეტონების, მათგან ასაწყობი და მონოლითური კონსტრუქციების დასამზადებლად, როგორებიცაა:

- სამშენებლო დუღაბები
- საგზაო სამშენებლო კონსტრუქციები
- საშუალო სიმაღლის შენობები
- ზღვის და მდინარეების სანაპირო დამცავი და მზლუდავი კონსტრუქციები
- კაშხლები და არხები
- ნარჩენების საწყობები



## პროდუქცია საქართველოში

### CEM I 32.5 R-SR5

(სულფატმედეგი პორტლანდცემენტი)

CEM I 32.5 R-SR5 (სულფატმედეგი პორტლანდცემენტი) სულფატმედეგ ცემენტს ჩვეულებრივი ცემენტისგან განსხვავებით შემდეგი მახასიათებლები აქვს:

- სულფატმედეგი მინერალური ნწყლების მიმართ გაძლიერებული მდგრადობა
- ნაკლები სითბოგამოყოფა
- გამყარების შენელებული ინტენსივობა
- მაღალი ყინვამედეგობა

## პროდუქცია საქართველოში

### სიახლე: MC 22.5 X (EN413-1)

ჰაიდლბერგცემენტი მომხმარებელს სთავაზობს ახალ პროდუქციას MC 22.5 X , რომელიც განკუთვნილია:

- აგურისა და წვრილი საკედლე ბლოკების
- მოსაპირკეთებელი და საბათქაშე სამუშაოების დუღაბების დასამზადებლად



## პროდუქცია საქართველოში

### CEM III 42.5N

ნიდაპორტლანდცემენტი მიიღება გრანულირებული ნიღის ბაზაზე და შესაძლოა გამოყენებულ იქნას სულფატმედეგი პორტლანდცემენტის ალტერნატივად აგრესიულ გარემოში სამუშაოდ. აღნიშნული ტიპის ცემენტის ფუძეზე დამზადებული ბეტონი არის უფრო ხანმედეგი და გააჩნია ბევრი დადებითი თვისება:

- ტუტეების დაბალი შემცველობა
- სულფატური შემოტევისადმი მედეგობა
- შემცირებული შეღწევადობა
- თერმული ბზარების გაჩენის რისკის შემცირება
- დაბალი სითბოგამოყოფა
- კარგი სიმტკიცის განვითარება

სულფატმედეგი ცემენტი განკუთვნილია ჰიდროტექნიკური, მიწისქვეშა, საზღვაო მშენებლობებისათვის. პროდუქტი გამოიყენება შემდეგი მოთხოვნების მქონე ბეტონისთვის:

- მედეგობა სულფატური კოროზიის მიმართ
- მედეგობა სულფატური კოროზიის მიმართ, როცა ერთდროულად ხდება ბეტონის მუდმივი გაყინვა-გაღვლილობა ან შრობა-დასვენება

\*ბეტონის სულფატური კოროზია ხდება ბუნებრივი გოგირდშემცველი წყლების ზემოქმედების შედეგად. გოგირდშემცველი სულფატური წყალი ბეტონში შეღწევის შემდეგ (თუ იქ დახვდა CaO - ს სიჭარბე) წარმოქმნის ცემენტის „ბაცილას“ (ეტრინგიტი), რომელიც იზრდება მოცულობაში და ბეტონის მასაში იწვევს შიგა წნევების და დაძაბულობის გაზრდას, შესაბამისად ბეტონის დეფორმაციას, რღვევას და ნგრევას.



## პროდუქცია საქართველოში

### CEM I 42.5

CEM I 42.5 პორტლანდცემენტი საერთო სამშენებლო დანიშნულებისაა და მაღალი კლასის C20/25 – C45/55 ბეტონებისგან და რკინაბეტონებისგან ასაწყობი, მონოლითური კონსტრუქციების და ნაგებობების დასამზადებლად გამოიყენება.

CEM I 42.5 ტიპის ცემენტის გამოყენების არეალი შეიძლება იყოს:

- თანამედროვე ტექნოლოგიებით მშენებარე ჰიდროტექნიკური და საზღვაო ნაგებობები
- ხიდები და ავტომაგისტრალები
- მრავალსართულიანი სახლები და ცათამბჯენები
- სანაპიროს დამცავი და მზლუდავი კონსტრუქციები
- გვირაბები და მეტროპოლიტენები
- აეროდრომების ასაფრენ-დასაფრენი ზოლები

